პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგრძელოვანი ხალხების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
30 დეკემბერი
1944 წ.
№ 262 (7215)
ფასი 20 კაპ.

თბილისის ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანები

ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს. ბელადმა მთელი სიცხადით გვიჩვენა სამამულო ომის წარმატებითი დამთავრების გზა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების გზა. ბელადმა ამოცანად დაგვისახა უახლოეს ხანში ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად გავანადგუროთ მტერი მისსავე საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ ბერლინში.

ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა.

ფრონტის მუშაკებისაგან, წითელი არმიის თვითეული მეთაურისა და მებრძოლისაგან ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ძალთა ახალ დაძაბვას, ახალ მძლავრ დარტყმებს ფაშისტთა ურდოების სრული დამარცხებისა და მოსპობისათვის.

ზურგის მუშაკისაგან, თვითეული ფაბრიკის, ქარხნის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისაგან ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მთელი ძალების, ენერგიის, უნარის გამოყენებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასადიდებლად, ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

ჩვენმა ხალხმა ფრონტზე და ზურგში უდიდესი გმირობა გამოიჩინა. ისტორიას არ ახსოვს ხალხთა მასების ასეთი თავდადება სამშობლოსათვის. სწორედ ამ გმირობის შედეგია ჩვენი გამარჯვებები გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს უდიდესი რეზერვები, ბევრი, ძლიერ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეს რეზერვები, განვახორციელოთ ეს შესაძლებლობანი?

პირველ რიგში საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება. ხელმძღვანელობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ გამოვნახოთ დამატებითი რესურსები და ახალი შესაძლებლობანი, გამოვამჟღავნოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დავსახოთ გზები მათი აღმოფხვრისათვის, დავრაზმოთ მასები იმ საკითხთა გადასაჭრელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი სამხედრო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. ხელმძღვანელობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გავანაწილოთ ძალები, ყოველ მუშაკს გამოვუნახოთ შესაფერი ადგილი, მივაღწიოთ შრომის მეტ ნაყოფიერებას.

სწორედ ამ მიმართულებით სახავენ ლენინისძიებებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ბელადის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით. 25 დეკემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრებამ მოიმინა და განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მოხსენის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება „თბილისის პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ“ და დასახა ღონისძიებანი.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები პირნათლად იხდიან თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ომიანობის პერიოდის სიძნელეთა მიუხედავად, თბილისის მრეწველობა სულ მეტი და მეტი რაოდენობით აწვდის ფრონტსა და ქვეყანას აუცილებელ პროდუქციას. ისევე, როგორც წინა წლებში, ძმდინარე წელსაც იგი წარმატებით ასრულებს დავალებას. 11 თვის გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით. ბევრმა საწარმომ დიდი სტალინის მოხსენების პასუხად მთელი წლის გეგმა 11 თვეში და უფრო მოკლე დროშიც შეასრულა. განსაკუთრებთ კარგად იმუშავეს კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის თბილისის საწარმოებმა. თბილისის მოწინავე საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, საორთქლმავლო დეპო, „ცენტროლიტი“, პირველი, მეორე და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკები და სხვ.

მაგრამ გეგმის საერთო შესრულებასთან ერთად არიან ცალკეული საწარმოები, რომლებიც სერიოზულად ჩამორჩებიან. მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანამ 11 თვის გეგმა მხოლოდ 91 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩნენ აგრეთვე მაუდის ფაბრიკა, ტრიკოტაჟკომბინატი, ქარხანა, სადაც დირექტორად არის ამხ. ანკავა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და სხვ.

რა არის, ჩამორჩენის მიზეზი?

ჩამორჩენის მიზეზი ხშირად ის არის რომ ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა. წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი ადვილად არის გაძარცულ ჩაძორჩენა მუშახელის ნაკლებობით. ამავე დროს კი მის საწარმოში ადგილი აქვს გაცდენის, სამუშაოზე დაგვიანებით გაოცდადების, დროის არარაციონალურად გამოყენების ბევრ შემთხვევას. საწარმოთა დირექტორების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა მიაღწიონ შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, შრომითი რეზერვების მთლიანად გამოყენებას.

ჩამორჩენების მიზეზი ზოგ შემთხვევაში ის არის, რომ დავიწყებულია მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა. ჩვენიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ამავე დროს კი ძრავალ საწარმოში ტექნიკის შემსწავლელი წრეები არ არსებობენ ან სუსტად მუშაობენ, სტახანოვური სკოლები ჩამოყალიბებული არ არის, ინდივიდუალური სწავლება მოისუსტებს. საწარმოთა დირექტორების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა გააძლიერონ მუშაობა ახალმოღებულთა შორის, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მათზე, მიაღწიონ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმის სანიმუშოდ დაყენებას.

ჩამორჩენის მიზეზი ზოგ შემთხვევაში ის არის, რომ არ იცავენ ტექნოლოგიურ დისციპლინას, არ ზრუნავენ ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის. ყურადღებას არ აქცევენ გამომგონებლობას და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას, უშვებენ დანაგარცთა მოცდენას. საწარმოთა დირექტორების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა მიაღწიონ ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტად დაცვას, რაციონალიზატორულ წინადადებათა სწრაფ განხორციელებას, საწარმოო სიმძლავრეთა სრულ გამოყენებას.

საწარმოო გეგმების შესრულებაზე დიდ გავლენას ახდენს საქალაქო ძეურხეობის მდგომარეობა. საცხოვრებელი სახლების მოვლის, საქალაქო ტრანსპორტისა და ყველა კომუნალური საწარმოს მუშაობის არსებითი გაუმჯობესება, სკოლების, საავადყოფოების, საბავშვო დაწესებულებებისათვის ნორმალური მუშაობის პირობების შექმნა ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა. უნდა მოეწყოს მრეწველობისა და ქალაქის მოსახლეობის ქმედითი დახმარება საქალაქო მეურნეობისადმი.

საწარმოო გეგმის შესრულებაზე დიდ გავლენას ახდენს ის, თუ როგორ არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, როგორ არის გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები. უდავოა, რომ სადაც კარგად არის დაყენებული სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, სადაც მუშათა მთელი მასა მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, სადაც ყურადღებას აქცევენ არა მარტო ცალკეულ რეკორდსმენებს, არამედ საშუალო მუშის შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, იქ მეტია საწარმოო მიღწევები. ჩვენი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მოვალეობა ის არის, რომ განუწყვეტლად აუმჯობესონ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, მიაღწიონ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვითეული მუშის მონაწილეობას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ამრიგად, თბილისის ბოლშევიკების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამების გზით, კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობის გზით მიაღწიონ თვითეული საწარმოს სანიმუშო მდგომარეობას, მთელი მრეწველობის შემდგომ აღმავლობას, ფრონტისა და სამშობლოსათვის საჭირო პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

თბილისის ბოლშევიკების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად იზრუნონ მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისათვის, მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, სავაჭრო ორგანიზაციების წესიერი მუშაობისათვის. საქალაქო მეურნეობის სანიმუშო წესრიგზე მოყვანისათვის.

თბილისის ბოლშევიკების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გააძლიერონ იდეოლოგიური მუშაობა, აამაღლონ პროპაგანდისტული და საგაგიტაციო მუშაობის დონე. ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა. მთელ მუშაობას კომუნისტთა თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის სიფუძვლად უნდა დაედოს შესწავლა ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომისა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს კადრების საკუთარ თავზე მუშაობის ორგანიზაციას. არ უნდა დავუშვათ წრეების ხელაღებით დანერგვეთ გატაცება მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდის საზიანოდ. ლექციური პროპაგანდა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი ლექციათა ხარისხისადმი, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, —თქვა ამხანაგმა ჩარკვიანმა აქტივის კრებაზე,—დიდი ტრადიციები აქვს პარტიული იდეოლოგიის სიწმინდისათვის ბრძოლაში. საქართველოში მუშაობის დროს ამიერკავკასიის ბოლშევიკების აღმზრდელმა ამხანაგმა ბერიამ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ჩაუნერგა სიყვარული ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლისადმი.

თბილისის ორგანიზაციამ, წმიდად იცავს რა ამხანაგ ბერიას მიერ დანერგილ ტრადიციებს, ყოველდღიურად და დაუღალავად უნდა იზრუნოს ჩვენი კადრების, პარტიის წევრთა ფართო ფენებისა და მთელი ჩვენი ინტელიგენციის შეიარაღებისათვის **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი ყოვლისშემძლე მოძღვრებით.

თბილისის ბოლშევიკები ყოველთვის წარმატებით ასრულებდნენ პარტიის, მთავრობის, დიდი **სტალინის** დავალებებს. ეჭვი არ არის, რომ ამჟამადაც იმ ამოცანებს, რომლებიც ამხანაგ **სტალინის** საოქტომბრო მოხსენებიდან გამომდინარეობენ, საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკები წარმატებით გადასჭრიან და ამით ოაეხმარებიან ჩვენს გმირ წითელ არმიას გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურების საქმეში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

29 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

29 დეკემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, ქალაქ ლუჩენეცის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარების ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები შიდი, ჩომბა, ბიენა, შერეგი, გაინაჩკა, იაბლონიცა, სტარაია ბაშტა და რკინიგზის სადგური შიდი.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ შახის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების შედეგად დაიკავეს დასახლებული პუნქტები მალაია ჩალომია, ხრასტინცი, ლესენიცი, ოკატოვცი, ბატორომა, ნინინცი, სელიანი. ამავე დროს შახის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მდინარე გრონი გადალახეს, ხელთ იგდეს პლაცდარმი მდინარის დასავლეთ ნაპირზე და დასახლებული პუნქტები ნანა, პარქანი. დაზუსტებული ცნობებით, იპელსა და გრონს შუა მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსპობისას წარმოებულ ბრძოლებში 27 და 28 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 6,000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათგან 4.500 მარტო 28 დეკემბერს. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 5,000-მდე გვამი.

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები, რომელნიც განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, შეიჭრნენ ქალაქის დასავლეთ ნაწილში, სადაც რამდენიმე უბანი დაიკავეს. ამავე დროს ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, დუნაის მოსახვევთან მთიან-ტყიან რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების მოსასპობად და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ლეანიფალუ, ტახი-ტოტფალუ, დუნა-ბოგდანი, ვიშეგრადი, კილიშენტლასლო, კილიშენტლელეკი. ამ რაიონში 28 დეკემბერს წარმოებული ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.200 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა.

28 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 99 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ შახის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს, უეცრად იერიში მიიტანეს და გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, ბრძოლის ველზე დარჩა 300 მოკლული და დაჭრილი ჰიტლერელი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 18 ტყვიამფრქვევი და 4 ნაღმსატყორცნი.

ქალაქ შახის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე დღის წინათ მოწინააღმდეგის ჯარები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. გერმანელები აპირებდნენ გადაეჭრათ ჩრდილოეთ-საკენ წინწაწეული საბჭოთა ნაწილების კომუნიკაციები. ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა სწრაფი მანევრი მოაწყეს, ზურგში მოეტანენ მტრის დაჯგუფებას და გააფთრებული ბრძოლების შედეგად მოსპეს იგი. მთლიანად მოსპობილია გერმანელთა 3 მოტორიზებული პოლკი, საარტილერიო ბრიგადა და სხვა ნაწილები და ქვეგანაყოფები. მარტო ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 45 ტანკი და თვითმავალი ქვემები. საბჭოთა ნაწილებმა წარმატება განავითარეს, მდინარე გრონი გადალახეს და ხელთ იგდეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე.

* * *

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. საბჭოთა ნაწილები ქალაქის დასავლეთ ნაწილში შეიჭრნენ და იქ ბრძოლებს ეწეოდნენ ქუჩებში. მოწინააღმდეგემ ქუჩებში ააგო ბარიკადები, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ღობურები. ყველა კუთხის ქვიტკირის შენობა და მათი სარდაფები ხანგრძლივ საცეცხლე წერტილად არის გადაქცეული და აღჭურვილია ტყვიამფრქვევებით, ნაღმსატყორცნებითა და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიით. საბჭოთა მებრძოლები მოქმედებენ მოიერიშე რაზმებად, გარს ერტყმიან გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს და სპობენ მათ გარნიზონებს. ჩვენი ნაწილები სძლევენ ცეცხლოს წინააღმდეგობას, საინჟინრო დაბრკოლებებს და სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმიან გარს გერმანელთა ჯარებს. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოსდის. ქუჩები და ეზოები გაჭედილია ჰიტლერელთა გვამებით, დამსხვრეული და მათ მიერ მიტოვებული იარაღით. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებს, რომლებიც ქალაქის ბაღში შეიჭრნენ, მტერი ესაზენიტო არტილერიის ცეცხლით შეხვდა. უფროს ლეიტენანტ ზაბობოკოვის მებრძოლებმა საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ ალყა შემოარტყეს გერმანელთა ცეცხლოს პოზიციებს და ხანმოკლე შეტაკების დროს ამოსწყვიტეს მოწინააღმდეგის არტილერიტები.

ბუდაპეშტის ჩრდილოეთით მთიან-ტყიან რაიონში გარშემორტყმული გერმანელთა ნაწილები უშედეგოდ ცდილობდნენ გაჭრილყვნენ დასავლეთისაკენ. სხვადასხვა უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის დაქსაქსული ჯგუფები ტანკებითა და არტილერიით არაკეთილ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს მტრის რაზმები და განაგრძობენ გარშემორტყმის რკალის დაიწრეტ[illegible] [illegible] [illegible] [

დავნერგოთ საწარმოებში აგარკოვის გამოცდილება

ბრიგადების გამსხვილების შემდეგ

ქარხანაში, სადაც უფროსად არის ამხ. მატლახოვი, ბევრი მუშა სამამულო ომის პერიოდში მოვიდა. ისინი საჭიროებდნენ სწავლას, კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ საქმეს თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიექცა. პროფესიის შესასწავლად დადგენილი ხნის გასვლის შემდეგ 3-4 და იშვიათად 5-6 ახალმოსულს აერთიანებდნენ ერთ ბრიგადად. ასეთი მცირერიცხოვანი ბრიგადების ხელმძღვანელობა გაადვილებული იყო, რადგან ბრიგადირს საშუალება ჰქონდა შეემოწმებინა თვითეულის მუშაობა, ყველასათვის გაეწია დახმარება და არ დაეშვა დაბალხარისხიანი პროდუქციის გამოშვება.

ახალმოსულებმა მალე იმდენად აიმაღლეს კვალიფიკაცია, რომ გეგმებს არა მარტო დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, არამედ მაღალხარისხოვან პროდუქციასაც იძლევიან და ბრიგადირის მხრივ ტექნიკურ დახმარებას აღარ საჭიროებენ. ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა ქარხანაში ფართოდ დაენერგათ ეგორ აგარკოვის გამოცდილება—გაემსხვილებინათ ბრიგადები.

ქარხნის იმ საამქროში, სადაც უფროსად არის ამხ. ისაკიანი, სალარავ დაზგათა უბანზე 10 ბრიგადა მუშაობდა. ბრიგადირ ლ. გოქაძეს თავის ბრიგადაში 4 მღარველი ჰყავდა. ასეთივე იყო ამხ. ა. ბოლდარევის ბრიგადის შემადგენლობა. გაერთიანებამდე ბრიგადები გეგმას 150-160 პროცენტით ასრულებდნენ, ხოლო ბრიგადის ზოგი წევრი იძლეოდა გეგმის 200 პროცენტს.

ბრიგადების გამსხვილების შემდეგ შრომის ნაყოფიერებამ იმატა. მღარველი ლ. გოქაძე, რომელიც ბრიგადირობის დროს გეგმას 250-280 პროცენტით ასრულებდა, ახლა ყოველდღიურად 400 პროცენტს აჭარბებს. ამხ. ბოლდარევი გეგმებს 420 პროცენტით ასრულებს.

სალარავი დაზგების უბანზე მცირერიცხოვანი ბრიგადების გაერთიანების შემდეგ სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად განთავისუფლებულ იქნა 2 ცვლის ოსტატი, 5 ბრიგადირი და ათზე მეტი კვალიფიციური მუშა, რომლებიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობენ.

კარგი შედეგი მოგვცა ბრიგადების გამსხვილებამ იმ საამქროში, სადაც უფროსად არის ამხ. სემიონოვი. თუ აგარკოვის გამოცდილების დანერგვამდე აქ თითო ბრიგადა კვირაში ერთ შეკეთებულ ერთეულს იძლეოდა, ახლა იგივე ბრიგადები ერთიორად მეტს იძლევიან.

ბრიგადების გაერთიანების შემდეგ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და განმტკიცდა დისციპლინა. ამას ხელი შეუწყო ბრიგადებში შრომის რაციონალურმა განაწილებამ და სამუშაო ადგილების ხელსაყრელად მოწყობამ. გამსხვილებულ ბრიგადებში მუშაობა ნაკადურად არის მოწყობილი. ბრიგადის ერთ-ერთმა წევრმა რომ დაიგვიანოს, გავლენას ახდენს მთელი ბრიგადის შრომის ნაყოფიერებასა და გამომუშავებაზე. ამიტომ არის, რომ ბრიგადებში შრომის დისციპლინის სიმტკიცისათვის იბრძვის ყველა და უკანასკნელ ხანს მართლაც არ არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

შესანიშნავი შედეგები მოგვცა ბრიგადების გაერთიანებამ საზეინკლო სამუშაოთა უბნებზეც. ბრიგადების გამსხვილების შემდეგ სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად განთავისუფლებული ბრიგადირებისაგან შეიქმნა ახალი ჯგუფი ყველაზე მაღალკვალიფიციური ოსტატებისა, რომლებიც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობის საპასუხისმგებლო სამუშაოებს ასრულებენ. ესენი არიან, მაგალითად, ა. ტარასენკო, მ. ვართანიანი და სხვ.

ამჟამად ქარხანაში ცდილობენ მოახდინონ ბრიგადების გაერთიანება საამქროთა ყველა უბანზე. განთავისუფლებული მაღალკვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები გამოყენებულ იქნებიან სხვა სამუშაოზე.

დ. ამირანიძე

დეპოელების გამოხმაურება

ეგორ აგარკოვის ინიციატივას მცირერიცხოვანი ბრიგადების გაერთიანების დარგში ფართოდ გამოეხმაურნენ თბილისელი მეორთქლმავლენი. საორთქლმავლო დეპოს ყველა საამქროში დაწვრილებით ეცნობიან ამხ. აგარკოვის ამ მეტად სერიოზული მნიშვნელობის მქონე წინადადებას და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მის განსახორციელებლად. დეპოს აგიტატორებმა მეორთქლმავლეებს ფართოდ განუმარტეს ამხ. აგარკოვის ინიციატივის შინაარსი. მოწვეულ იქნა საამქროთა უფროსების, პარტბიუროთა მდივნების, პროფესიულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების სპეციალური თათბირი დეპოს პირობებში იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია ამხ. აგარკოვის გამოცდილებასთან.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს აგარკოვის წინადადება და ხაზი გაუსვეს დეპოში მის საფუძველზე ფრონტული ბრიგადების სწრაფად გარდაქმნის მნიშვნელობას.

თათბირზე გამოირკვა, რომ ამხ. აგარკოვის გამოცდილების დანერგვის შემდეგ მარტო ერთ საამქროში (აწევითი და საშუალო რემონტის საამქრო) შესაძლებელია სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გავათავისუფლოთ ხუთი კვალიფიციური მუშა.

დეპოელები უკვე შეუდგნენ წვრილ-წვრილი ბრიგადების გაერთიანებისათვის საჭირო საორგანიზაციო მუშაობას.

ა. შარვანიძე

როგორ გაადიდებენ ლითონის გამოდნობას 1945 წელს

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხნის კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ მეტი ლითონი ნიშნავს მეტ ტანკს, მეტ თვითმფრინავს, ხოლო რაც მეტი ტანკი და თვითმფრინავი გვაქვს, მით უფრო ახლოა ჩვენი საბოლოო გამარჯვების სანატრელი დღე. ამიტომ ზესტაფონელი მეტალურგები ყოველმხრივ ემზადებიან 1945 წელს მეტი ლითონის გამოსადნობად.

სადნობ საამქროში კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს. კაპიტალური რემონტი უკეთდება აგრეთვე ერთ ამწეს. ამით დაჩქარდება სასხმო ეზოდან ლითონის გაზიდვა და გაუმჯობესდება ღუმელების მომსახურება. დაწყებულია და უახლოეს ხანში დამთავრდება სადნობი საამქროს სასხმო ეზოს გაფართოება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ლითონის დანაკარგებს. მთავრდება კოქსის სამტვრევი მოწყობილობის რეკონსტრუქცია. ეს 3-5 პროცენტით გაადიდებს სადნობი ღუმელების წარმადობას. დასასრულს უახლოვდება მაღალი ძაბვის საკაბელო გვირაბის გაყვანა, რაც შეამცირებს ელექტროენერგიის დანაკარგს და გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ პროცესს, უზრუნველყოფს ღუმელების ნორმალურ ექსპლოატაციას.

ლითონის გამოდნობის გასადიდებლად სერიოზული სამუშაოებია გათვალისწინებული ფერომარგანეცის სადნობ საამქროში. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად ლითონის გამოდნობა შესამჩნევად გადიდდება.

1945 წელს საგრძნობლად უნდა გადიდდეს ძვირფასი შენადნობის — მეტალური მარგანეცის გამოშვება. ამისათვის ახლა აქ გაჩაღებულია დიდი მუშაობა.

ახალი წლიდან მოქმედებაში შევლენ მთელი რიგი ახალი სამუშაო უბნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლითონის გამოდნობის საგრძნობლად გადიდებას 1945 წელს.

ქარხნის ძირითად მასალას ქალცედონი წარმოადგენს. მისი შეუფერხებელი შემოზიდვისათვის შესრულებულია ყველა სამუშაო და ამიერიდან ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ამ საჭირო მასალით.

ახალ სამეურნეო წელს ნორმალური მუშაობისათვის ქარხნის ხელმძღვანელობამ დროულად დააყენა საკითხი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და „გლავსპეცსტალის“ წინაშე. ქარხანას 1945 წლისათვის უკვე გამოუყვეს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე მასალების ფონდები. ქარხანაში შექმნილია კოქსის, რკინის ბურბუშელის საკმაო მარაგი; იქმნება ქალცედონისა და სხვა დამხმარე მასალების მარაგიც.

ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება კადრებითაც. თებერვალში იგი მიიღებს რამდენიმე ას კვალიფიციურ მეტალურგს. ფართოდ არის გაშლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი წრეების ქსელი. 31 მუშამ ახლახან ჩააბარა გამოცდა. მათ დნობის ოსტატისა და ბრიგადირის წოდება მიენიჭათ. 150 კაცი ამჟამად ტექნიკურ წრეებში სწავლობს. ამასთანავე ფართოდ არის დანერგილი სტახანოვური სკოლები და ახალმოსულ მუშათა ინდივიდუალური სწავლება.

ზესტაფონელი მეტალურგები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ შემოქმედებითი აზრის ფართოდ გაშლით, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით გაადიდებენ ლითონის გამოდნობას. 1945 წელს სამშობლო მიიღებს მეტ და მაღალხარისხოვან ლითონს.

პ. ჭიოკაძე

საამაყო ჯილდო ტყიბულელ მეშახტეებს

ტყიბულქვანახშირის ტრესტში მიღებულია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ვახრუშევის დეპეშა, რომლითაც იგი ტყიბულელ მეშახტეებს ულოცავს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებას ნოემბრის მაჩვენებლების მიხედვით.

— ⊙ —

ტყიბულელმა მეშახტეებმა ნოემბერში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს. ქვანახშირის მოპოვების თვიური დავალება 109,7 პროცენტით შეასრულეს, ამასთან გადაჭარბებით გაწიეს მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და შეამცირეს ქვანახშირის ნაცრიანობა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა ნოემბერში სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც ტრესტში პირველი ადგილი მოიპოვა. კარგად იმუშავა აგრეთვე ლენინის სახელობის ტრესტის კოლექტივმაც.

საამაყო ჯილდოს — პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიღება ავალებს ტყიბულელებს ახალი წარმატებებით აღნიშნონ ახალი სამეურნეო წლის პირველი თვეები და 1945 წელს შესამჩნევად გაადიდონ ქვანახშირის ამოღება. საამისო პირობები ტყიბულელ მეშახტეებს მოეპოვებათ.

სამტრესტმა შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა

28 დეკემბრისათვის სამტრესტმა შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1944 წლის გეგმა.

ასორტიმენტის მიხედვით წლიური გეგმა შესრულებულია: ღვინისა 100,9 პროცენტით, კონიაკისა 102 პროცენტით, არაყისა (პურისა და ჭაჭის) 130 პროცენტით, ლიქიორის და სხვადასხვა ნაყენისა 158,3 პროცენტით, ძმრისა 102,6 პროცენტით; ღვინის მასალის დამუშავებისა 111,4 პროცენტით.

წლიური გეგმა 28 დეკემბერს შეასრულეს სამტრესტის სისტემაში შემავალმა შემდეგმა საწარმოებმა: მოსკოვის საქარხნო სამმართველომ—111,5 პროცენტით (დირექტორი ამხ. ხვედაგურიძე), № 4 კონიაკის ქარხანამ—104,8 პროცენტით (დირექტორი ამხ. ხარაძე), № 3 ლიქიორის ქარხანამ—138,7 პროცენტით (დირექტორი ამხ. კიკაჩეიშვილი), ყაზანის ბაზამ—132,9 პროცენტით (დირექტორი ამხ. ჩემია), ძმრის ქარხანამ—102,6 პროცენტით (დირექტორი ამხ. ჭანკვეტაძე), ბოლნისის ღვინის ქარხანამ—117,7 პროცენტით (დირექტორი ამხ. კახიძე) გურჯაანის ღვინის ქარხანამ—103,8 პროცენტით (დირექტორი ამხ. ჩიქვილაძე), სიღნაღის საქარხნო სამმართველომ—102 პროცენტით (დირექტორი ამხ. მხეიძე), თელავის საქარხნო სამმართველომ—120,7 პროცენტით (დირექტორი ამხ. ფეიქრიშვილი), წინანდლის საბჭოთა მეურნეობამ—101 პროცენტით (დირექტორი ამხ. ჩარკვიანი), ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ—103,1 პროცენტით (დირექტორი ამხ. ბარბაქაძე) და კარდანახის საბჭოთა მეურნეობამ—131 პროცენტით (დირექტორი ამხ. კუპატაძე).

დეპეშები

რუმინეთის მიერ დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების შესრულების მიმდინარეობა

ბუქარესტი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ შეჯამებულ ცნობებს, რომლებიც ეხება რუმინეთის მიერ დროებითი ზავის შეთანხმების შესრულებას ამა წლის ნოემბერსა და დეკემბერში.

შეთანხმების მე-2 მუხლი (გერმანიისა და უნგრეთის ქვეშევრდომ ოფიცერთა, ჯარისკაცთა და სამოქალაქო პირთა ინტერნირების შესახებ) რუმინეთის მთავრობამ ძირითადად შეასრულა. რუმინეთის სამხედრო სამინისტროს ცნობებით, დეკემბრის დამდეგისათვის რუმინეთში ინტერნირებული იყო 10.000-ზე გერმანელი და უნგრელი. მაგრამ საბჭოთა სამხედრო ხელისუფალნი რუმინეთის სხვადასხვა ადგილებში დღემდეც პოულობენ ცალკეულ დამალულ ჰიტლერელებს, რომელთაგან ბევრნი სპეციალურად დატოვებულ იქნენ აქ ჯაშუშური და დივერსიული დავალებებით.

მე-5 მუხლის — ძალდატანებით წაყვანილი საბჭოთა მოქალაქეების სსრ კავშირში დაბრუნების შესახებ — შესრულება აგრეთვე დამთავრებას უახლოვდება. 13 დეკემბრისათვის მოკავშირეთა საკონტროლო კომისიამ მთელ რუმინეთში გამოავლინა და აღრიცხვაზე აიყვანა 55.000-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. მათგან 36.000-ზე მეტი უკვე გაგზავნილია სამშობლოში, დანარჩენები კი უახლოეს ხანში გაემგზავრებიან.

მოკავშირეთა საკონტროლო კომისია დიდ მუშაობას ეწევა გერმანელების მიერ რუმინეთში დატოვებული ნადავლი ქონების გამოვლინების ხაზით. მაგრამ ეს მუშაობა იმით რთულდება, რომ ცალკეული პირები და დაწესებულებები რუმინეთში ცდილობდნენ დაემალათ ეს ქონება, ასაღებდნენ რა მას „რუმინეთის ქონებად“. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თანამშრომლები წარმატებით აშკარავებენ ამ ცდებს. საბჭოთა კავშირში ყოველდღე იგზავნება ნადავლი ქონებით დატვირთული სარკინიგზო შემადგენლობები და გემები. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიამ აღმოაჩინა რამდენიმე ათეული ათასი ნადავლი ვაგონი, დიდძალი სხვადასხვა საჭურველი და სამხედრო მასალა, გერმანელთა ასობით თვითმფრინავი. დუნაის ნავსადგურების ჯურჯუს, ტურნუ-სევერინის, კალაფატის და სხვ. რაიონში გამოვლინებულია ბევრი ნადავლი გემი. მთელი ეს ქონება თანდათანობით იგზავნება საბჭოთა კავშირში.

გაჩაღებულია საბჭოთა კავშირში იმ ქონების გაგზავნა, რომელიც რუმინელმა ოკუპანტებმა უკრაინასა და მოლდავეთში დაიტაცეს. 21 ნოემბერს კონსტანცაში უკვე განტვირთულ იქნა 684 ვაგონი საბჭოთა ქონებიანად, ხოლო 196 ვაგონი განტვირთვას ელოდა. ბევრი ქონება უკვე ჩატანილია სსრ კავშირში. მაგალითად, 12 დეკემბერს სადგურ ბალშიდან სსრ კავშირში გაგზავნა 9 ვაგონი სკა, რაც წინათ რუმინელებს უკრაინიდან გაუტანიათ; სადგურ არადიდან — ელექტრომასრევის ფაბრიკა, 4 ვაგონი სხვადასხვა საწარმოო მოწყობილობა, 6 ვაგონი მოწყობილობა ოდესის სართავი ფაბრიკისა, 16 ვაგონი მოწყობილობა რკინიგზის სახელოსნოებისა, 14 ვაგონი სხვადასხვა მექანიზმები და სხვ. დეკემბერში რუმინეთის ხელისუფლებამ სსრ კავშირს დაუბრუნეს 1.090 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.053 სული ცხვარი, 359 ცხენი. რუმინეთის მთავრობამ ამას წინათ განკარგულება გამოაქვეყნა სსრ კავშირიდან წაყვანილი ძროხების ჩაბარების შესახებ. ამ განკარგულებაში ნათქვამი იყო, რომ თუ ეს ძროხები დაიხოცა ან დაკარგულია, ის პირები, რომლებიც მათ იყვნენ, ვალდებული არიან ახალი ძროხები იყიდონ და ჩააბარონ ისინი მოკავშირეთა საკონტროლო კომისიას. ნაძარცვი საბჭოთა ქონების გამოსავლინებლად და სსრ კავშირში გასაგზავნად მუშაობა გრძელდება.

მე-4 კვარტალის განმავლობაში (ა. წ. 21 დეკემბრამდე) სსრ კავშირში რუმინეთიდან გატანილ იქნა 386 ათასი ტონა ნავთის პროდუქტები.

მაგრამ შეთანხმების ზოგიერთი მუხლის შესრულება კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ეს ეხება, კერძოდ, მე-8 მუხლს, რომელშიც ლაპარაკია გერმანიისა და უნგრეთის და ამ ქვეყნების ქვეშევრდომთა ქონების შესახებ, რაც რუმინეთის ტერიტორიაზე დარჩა. რუმინეთში არსებობს ბევრი საწარმო გერმანიისა და უნგრეთის კაპიტალის მონაწილეობით. დროებითი ზავის დადების შემდეგ რუმინეთის მთავრობამ ამ საწარმოებში განსაკუთრებული ადმინისტრატორები დანიშნა, მაგრამ მთავრობის მხრივ არასაკმაოდ სასტიკი კონტროლის გამო ზოგიერთმა მათგანმა თავისი მდგომარეობა პირადი გამდიდრებისათვის გამოიყენა, დაინიშნა ხელფასის თვითნებური განაკვეთები, ანიავებს პროდუქციას და ფარავს ამ საწარმოებიდან კაპიტალების საზღვარგარეთ, ანდა სხვადასხვა საქმოსნების ჯიბეში გადასვლას. ეს ფაქტები გამომჟღავნებულ იქნა კერძო მოსამსახურეთა პროფკავშირების წერილში, რომელიც ამას წინათ გაზეთ „რომინია ლიბერაში“ გამოქვეყნდა. პროფკავშირმა მოითხოვა ამ ადმინისტრატორთა მუშაობაზე კონტროლის დაწესება და კანონის საწინააღმდეგო საქმიანობაში მხილებული პირების მოშორება, მაგრამ სახალხო მეურნეობის მინისტრი ლეუკუცია წინააღუდგა ამას და მოესარჩლა ადმინისტრატორებს.

უკეთესი მდგომარეობა არც სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეშია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამას წინათ გაზეთებში გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ სამინისტროს ორგანოებში მოსამსახურე მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები მექრთამეობას ეწეოდნენ და თავისუფლად სტოვებდნენ აშკარა ლეგიონერებს.

რუმინულ გაზეთებში მოყვანილია ათობით შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო აპარატში უაღრესად მნიშვნელოვან პოსტებზე აღმოჩნდნენ ომის დამნაშავენი. ასე, მაგალითად, რუმინული პრესის ცნობებით, მთავრობის რწმუნებულს დროებითი ზავის შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დარგში, ჯურჯუვიანუს რუმინეთის მიერ ბესარაბიის სამი წლის ოკუპაციის განმავლობაში იქ რუმინიზაციის დეპარტამენტის დირექტორის პოსტი ეჭირა და იგი პასუხისმგებელია ბესარაბიაში ებრაელთა დევნისათვის.

გაზეთები აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ რადიომაუწყებლობის საზოგადოებას დღემდე სათავეში უდგას ვასილიუ იონესკუ, რომელსაც ეს თანამდებობა ეჭირა ანტონესკუს დიქტატურის დროსაც და აქტიურ ფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდა.

13 დეკემბერს ტრანსილვანიელ პატრიოტთა გაერთიანების ორგანო „არდიალული“ აღნიშნავდა, რომ თვით წმენდის კომისიები მთელ რიგ შემთხვევებში დანაგვიანებულია. ასე, მაგალითად რუმინეთ-გერმანიის საზოგადოების გენერალური მდივნისა და ბუქარესტში ანტისაბჭოთა გამოფენების ორგანიზატორის ყოფილი თანამებრძოლი ვინმე პოლიდორი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს და ამ სამინისტროს წმენდის კომისიის წევრია. პროფაშისტური და საეჭვო ელემენტებისაგან რუმინეთის სახელმწიფო აპარატის გაწმენდის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ამოცანები დგას. კიდევ საჭირო მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევა.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 29 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოწინააღმდეგის პატრულები აქტიურად მოქმედებდნენ მდინარე მაასზე ჰოლანდიაში. არდენში გერმანელთა შვერილის ჩრდილოეთ ფლანგზე მტრის მოძალება სტაველოსა და ოტონს შუა შემცირდა. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მოკავშირეებმა კვლავ დაიკავეს მანე, გრანმენილი და იუმენი. მოგერიებულია მტრის იერიშები ოტონსა და მარშს შუა, ამასთან გერმანელებს მძიმე ზარალი მოუვიდათ. უფრო დასავლეთით მიმდინარეობს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯარების მოსპობა. წამოყვანილია 1.000-ზე მეტი ტყვე და ხელთ ვიგდეთ ბევრი ტექნიკა, მათ შორის ტანკები. მოწინააღმდეგის იზოლირებული რაზმები გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევიან სენტ-იუბერის რაიონში. მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც შეუერთდნენ მოკავშირეთა ნაწილებს ბასტონში, ქალაქში შევიდნენ. უფრო სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეებმა მიაღწიეს სიბრეს გარეუბნებს, ხოლო სამხრეთით მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს ომპრე. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს არსინეუას ჩრდილოეთით მდებარე ტყეებში. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ წინსვლას შვერილის სამხრეთი ფლანგის გასწვრივ, მთელი რიგი პუნქტები დაიკავეს. მოკავშირეებმა გადალახეს მდინარე სიური ეშის ახლოს. დიკირხსა და ეხტერნახს შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა პატრულებმა მდინარე სიურს მიაღწიეს სამ პუნქტში, მათ შორის როსპორტში (ლუქსემბურგი).

არახელსაყრელი ამინდი ზღუდავდა მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას.

ლონდონი, 29 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის აუზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, მდინარე სერკიოს ხეობის რაიონში, ბრძოლები მიმდინარეობდა. მე-5 და მე-8 არმიების ნაწილთა ოპერაციები პატრულების მოქმედებით განისაზღვრებოდა.

ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 2.600-მდე თვითმფრინავ-გაფრენა მოახდინა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 29 დეკემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ აღმოსავლეთ ბოსნიაში, ბიელინა ბრჩკოს სექტორში გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. ვარდიშტეს სექტორში იუგოსლაველთა ნაწილებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის კადინა გლავიცა. გერმანელთა ნაწილები უკუგდებული არიან მოკრა გორისაკენ, სადაც ძლიერი ბრძოლები გრძელდება.

სანჯაკში ბისლო პოლე-ტრიეპოლიეს კომუნიკაციაზე განადგურებულია გერმანელთა კოლონა.

ჩერნოგორიაში იუგოსლაველთა ნაწილებმა იერიში მიიტანეს უკანდახეულ გერმანელთა კოლონებზე მატეშევო-მოიკოვაცის კომუნიკაციაზე.

ხორვატიაში გერმანელთა და უსტაშთა ნაწილებმა, რომელთაც ტანკები ეხმარებოდნენ, ძლიერი ძალებით დაიწყეს შეტევა ზაგრებ-კარლოვაცის რაიონიდან პისაროვინის მიმართულებით. ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგე შეჩერებულ იქნა, შემდეგ კი იუგოსლაველთა ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და უკუაგდეს გერმანელები და უსტაშები საწყის პოზიციებზე.

სლოვენიაში იუგოსლაველთა ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი გორიცის მიმართულებით. იუგოსლაველთა ჯარები სდევნიდნენ მოწინააღმდეგის დამარცხებულ ნაწილებს და მიაღწიეს მდინარე იდრიას.

ინგლისური პრესა უნგრეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარს უკეთებს უნგრეთის ახალი მთავრობის შექმნას და აცხადებს, რომ უნგრეთის, როგორც მტრის ორგანიზებული ძალის მოსპობა, გარდუვალია. შექმნილ დროებითს მთავრობაში, სწერს მიმომხილველი, წარმოდგენილია ყველა ძირითადი პროგრესული პარტია. ყველა ეს პროგრესული პარტია შეუერთდა დროებითი მთავრობის პროგრამას. ამასთან პროგრამა, რომელიც უნდა მოსწონდეს როგორც მემარჯვენეებს, ისე მემარცხენეებს, ითვალისწინებს აგრარულ რეფორმას და ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შექმნილი იქნება კერძო ინიციატივის განვითარების შესაძლებლობა.

გაზეთი „იორკშირ პოსტი“ აცხადებს, რომ უნგრეთის ახალი მთავრობა, რომლის შექმნაც, შესაძლოა, პირველი ნაბიჯი გახდება მოკავშირეთა წინაშე უნგრეთის მიერ თავისი დანაშაულის გამოსყიდვის გზაზე, შექმნილია რუმინეთის ან ბულგარეთის მაგალითისამებრ და, როგორც ჩანს, ყველა პარტიის კოალიციას წარმოადგენს. ახალი მთავრობის პროგრამის ძირითადი მომენტებია მიწის რეფორმა და მოკავშირეებთან თანამშრომლობა.

გაზეთ „დეილი ჰერალდის“ დიპლომატიური მიმომხილველი იგივე ეხება უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის შემადგენლობას და სწერს: არსებითად ეს არის ნამდვილად წარმომადგენლობითი მთავრობა; იგი შესდგება ისეთ პირთაგან, რომელთაც კარგი სახელი აქვთ და თვალსაჩინო მდგომარეობა უკავიათ. ასეთ მთავრობას უნარი შესწევს შემოიკრიბოს გარშემო უნგრეთის ყველა საღი ელემენტი.

სტარო-ბეშევოს ტრაქტორისტების მიმართვის პასუხად

კასპი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა განიხილა უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის სტარო-ბეშევოს მტს-ის ტრაქტორისტთა მიმართვა.

ეს მიმართვა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის საუკეთესოდ ჩატარებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ დამსწრეთ გააცნო კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. გორჯოლაძემ.

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს მტს-ის მუშაკებმა, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს სტარო-ბეშევოს ტრაქტორისტთა ინიციატივა.

სარემონტო სახელოსნოს გამგემ დ. სილაგაძემ იკისრა პირადად შეაკეთოს ორი ტრაქტორი. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ფ. მანგოშვილმა განაცხადა: IV კვარტალში უნდა შემეკეთებინა 2 ტრაქტორი. ეს სამუშაო შევასრულე. სახელმწიფო შემმოწმებელმა კომისიამ რემონტის ხარისხს მაღალი შეფასება მისცა. ვკისრულობ 1945 წლის 5 იანვრამდე დამატებით შევაკეთო 1 ტრაქტორი.

ასევე ახალი ვალდებულებები იკისრეს ხელოსნებმა მექანიკოსმა ბ. კუპრაშვილმა, ტრაქტორისტებმა მ. მამულაშვილმა, ვ. გურწიშვილმა, ნ. გიგაურმა, ხარატმა მ. გეჯაძემ, შემდუღებელმა დ. გეჯაძემ, მჭედელმა მ. გოჭოშვილმა.

სახელოსნოს მუშაკთა კოლექტივმა პირობა დასდო ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულოს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღების რემონტის პირველი კვარტალის გეგმა, 140 პროცენტით ძველი ნაწილების აღდგენისა და ახალი ნაწილების დამზადების გეგმა, დაზოგოს საწვავი 10 პროცენტით, სატრაქტორო ბრიგადებთან მოაწყოს მიმდინარე სარემონტო სახელოსნოები, აგრეთვე ფარდულები მანქანა-იარაღების შესანახად, მომავალ წელს მოამზადოს 15 და კვალიფიკაცია აუმაღლოს 10 ტრაქტორისტს, სანიმუშოდ მოაწყოს იარაღ-მანქანების ტექნიკური მოვლის საქმე.

სახელოსნოს მუშაკთა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მცხეთის მტს-ის სახელოსნო.

ვ. ბუზალაძე

ადამიანები და ტრაქტორები

აბაშის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი ბ. ბაკურია, პარტორგანიზაციის მდივანი ი. გაბელაია, მთავარი აგრონომი თ. ნაჭყებია) 1944 წელს წარმატებით იმუშავა. მტს-მა საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა 126,4 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 2.200 კილოგრამი საწვავი.

სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობა „ლენინის გზა“ ჩამორჩებოდა. კოლმეურნეობამ მიმართა მტს-ს. დასახმარებლად გაგზავნეს მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც სახელმოხვეჭილი ტრაქტორისტი რომანოზ ბოკერია ხელმძღვანელობს. ბრიგადამ კოლმეურნეობას უმოკლეს ვადაში 366 ჰექტარი საყანე ნაკვეთი მოუხნა და 500 ჰექტარი დაუფარცხა. კოლმეურნეობამ ჩამორჩენას თავი დააღწია. ეს გამონაკლისი როდია. მიმდინარე წლის დავალება მეორე ბრიგადამ 123 პროცენტით შეასრულა.

პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც რაჟდენ გვაზავა ხელმძღვანელობს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 668 ჰექტარისა, მოხნა 1.017 ჰექტარი, დაზოგა 1.732 კილოგრამი საწვავი. პირველ ბრიგადას არც მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი შ. ბოკუჩავა) ჩამორჩება. 876 ჰექტარის ნაცვლად 1.021, — ასეთია ამ ბრიგადის წარმატების მაჩვენებელი.

გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან მოწინავე ადამიანები.

ბარნაბ ლაბარტყავა მოკლე ხანში დაეუფლა ტრაქტორის მართვის ტექნიკას და ახლა მოწინავე ტრაქტორისტია. იგი თვითონვე არემონტებს დახიანებულ ტრაქტორს, თვალისჩინივით უვლის, უფრთხილდება მას. მიმდინარე წელს მან 104 ჰექტარის ნაცვლად 293 ჰექტარი მოხნა და 552 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეები იყო. გამოცდილმა ტრაქტორისტმა 55 წლის თელეპო გადელიამ, თავისი ვაჟი სამშობლოს დასაცავად გაგზავნა, თვითონ კი მტს-ის დირექციაში განცხადება შეიტანა სამუშაოზე დაშვების შესახებ. სამშობლოს პატრიოტი თელეპო გადელია სარემონტო სახელოსნოში მოეწყო. მან ახალი ენერგიით გააჩაღა მუშაობა და იკისრა ახალი კადრების მომზადება. არტემ ლოჩოშვილი თელეპო გადელიას ხელმძღვანელობით მალე დაეუფლა ტრაქტორის საქმეს. კომკავშირელმა ტრაქტორისტმა მიმდინარე წლის სამეურნეო გეგმა 220 პროცენტით შეასრულა და 443 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

14 წლის ვანია სტორჩაკი თავისი ბავშვობის წლებს საბჭოთა ბელორუსიის ერთ-ერთ სოფელში ატარებდა. დაიწყო დიდი სამამულო ომი. პიონერ სტორჩაკის ოჯახი გერმანელებმა დაანგრიეს. ვანიას მამა, რომელიც მეზობელ სოფელში პარტიზანად გავიდა, გერმანელებმა მოჰკლეს. ამის შემდეგ თავშესაფარი სტორჩაკმა აბაშის რაიონში ჰპოვა. ერთი წლის წინათ ის ტრაქტორისტთა მოსამზადებელ კურსებზე მოეწყო. 17 წლის ტრაქტორისტი ახლა სტახანოველია და საერთო სიყვარულით სარგებლობს. მიმდინარე წლის დავალება მან 110 პროცენტით შეასრულა და 143 კილოგრამი საწვავიც დაზოგა. ტრაქტორისტმა ისაკ მაგინეიშვილმა დავალება 146 პროცენტით შეასრულა.

მტს-მა ვადაზე ორი თვით ადრე მაღალხარისხოვნად შეასრულა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა. გეგმით მოცემული 23 ტრაქტორიდან ყველა დროულად შეკეთდა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 7 ტრაქტორს. ტრაქტორების რემონტის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი კომუნისტმა გრიგოლ თაკვარელიამ, თელეპო გადელიამ, რაჟდენ გვაზავამ. მათ არც ხარატი ალექსანდრე შელია და ჩამომსხმელი ტარასი ლიპარტია ჩამორჩნენ.

მრავალი რაციონალიზატორული წინადადება აქვს ხარატ ალექსანდრე შელიას. ტრაქტორის სიჩქარეთა ყუთის შუალედი № 44, რომელიც წინათ ქარხანაში მზადდებოდა, ა. შელიამ დაამზადა ადგილობრივ. მანვე შეიტანა წინადადება შემაერთებელი ქუროს ლილვის ადგილზე დასამზადებლად, რომელიც მოწონებულ იქნა. ახლა იგი მტს-ის სახელოსნოში მზადდება.

მტს-მა დროზე შეასრულა მარცვლეულის ნატურანაზღაურების გეგმები. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600 ცენტნერისა, სახელმწიფოს ჩაბარდა 1.800 ცენტნერი სიმინდი და ნაცვლად 70 ტონისა—144 ტონა სოია.

51 ტრაქტორისტი მუშაობს აბაშის მტს-ში. ისინი პირნათლად იხდიან თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. მარტო 1943 წელს მათმა ენერგიულმა მუშაობამ სახელმწიფოს მისცა 88.582 მანეთის დანაზოგი. წელს კი მტს-ს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს.

მოვიდა ზამთარი. აბაშის მტს-ი მას მომზადებული შეხვდა. მტს-მა წარმატებით შეასრულა გეგმები ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენების პასუხად და ახლა ემზადება 1945 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ო. იოსელიანი

პრემიერა რუსთაველის თეატრში

„ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში 30, 31 დეკემბერს და 1 იანვარს პირველად ქართულ სცენაზე იდგმება ა. ოსტროვსკის კომედია „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, თარგმანი ს. ჩიქოვანისა. მთავარ როლებს ასრულებენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და ა. ვასაძე; რესპუბლიკის სახალხო არტისტები: თ. ჭავჭავაძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, დ. მჟავია, ე. აფხაიძე; დამსახურებული არტისტები: ნ. ს. ალექსი-მესხიშვილი, გ. სარჩიმელიძე, თ. თუშიშვილი, ნ. ჩხეიძე, მ. ჩახავა, იტრიაშვილი, მამასახლისი, მ. გეგეჭკორი, ისნელი, ფოჩხუა.

დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. ალექსიძეს. სპექტაკლი გაფორმებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ ე. ახვლედიანის მიერ.

კონსულტაცია

30 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ახალგაზრდობისათვის შესდგება ამხ. ბიუსის კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა, „დედამიწის წარმოშობისა და აღნაგობის შესახებ“.

კინოებში

30 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „მალახოვ კურგანი“. დამკვრელი — „სიმღერა სიყვარულზე“. კომკავშირელი — „ჩემი სიყვარული“. სპარტაკი — „ძველ ჩიკაგოში“. ლუქსემბურგის სახელობის — „უკანასკნელი ღამე“. 26 კომისრის სახელობის — „ჯორჯი დინკი ჯაზიდან“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **მიხეილ გიორგის-ძე ვარაზაშვილმა**, მცხოვრებმა ჩელიუსკინელების ქ. № 5 აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 117 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ იაკობის-ასულ კორძახიასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს რადიოკომიტეტის კოლექტივი იუწყება დ. მამულაიშვილის აღმზრდელის **ანა ზაალის-ასულ აბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30/XII, 4 ს. კომინტერნის, 3.

ბიძები ილარიონ, ნიკოლოზ, ბიცოლები ნინო, ქეთო, ბიძაშვილები ვალერიან, ამალია, ზურაბ, რეზო ბოხუები, მარგო ჩომახიძე ოჯახით იუწყებიან **ჟენია ნუცუბიძე-ქაჯაიას** გარდაცვალებას.

შვილი ვალენტინა, სიძე ვანო, შვილიშვილი თენგიზ ცერცვაძეები იუწყებიან **ნინო ნანიკოს-ასულ ულენტის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის კათედრა იუწყება დოცენტ გ. გამყრელიძის მამის **სამსონ გამყრელიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები გიორგი, ვალერიან, რძლები ოლიმპიადა, თამარ იუწყებიან **სამსონ იოთამის-ძე გამყრელიძის** გარდაცვალებას.

ანთიმოზ, გრიშა, იოველ, მიშა ასათიანები ოჯახებით იუწყებიან ვალერიან გამყრელიძის მამის **სამსონ გამყრელიძის** გარდაცვალებას

მშობლები გიორგი, სონია, მეუღლე ანა, შვილები ნანული, ზაური, ციალა, ბიძა იასონ იუწყებიან **ონისიმე კობერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XII, 6 ს. გამოსვენება 31/XII, 4 ს. მონტინის, 26.

მე-12 საბავშვო ბაღის კოლექტივი იუწყება ნინო გიორგაძის ძმის **ივანე დიმიტრის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ვარლამ, მანია, დები გოგოლა, მაგდალინა, თინა, ბიძა აბესალომ იუწყებიან **ალალო თოფურიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/XII, 4 ს. I ახალშენის, 34.

ბიძები იოსებ, ტოპიშა, ბიცოლები ეფე, ზინა გელვანიშვილები, ბიძაშვილები მიშა, თამარ რაზმაძეები, დავით, ულუმბი ბოჭორიშვილები იუწყებიან **ონისიმე კობერიძის** გარდაცვალებას.

შვილები თამარ, ნინო, სიძე ნიკოლოზ კახიძე, შვილიშვილები ბიჭიკო, ლამარა, ძმა სანდრო, რძალი პელაგია ცქიტიშვილი იუწყებიან **ელენე ქურდოვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XII, 6 ს. გამოსვენება 31/XII, 3 ს. ფოთის, 20.

მეუღლე ნინო, შვილები ნიკოლოზ, სულიკო, ქეთო, რძალი ნათელა, სიძე არჩილ იუწყებიან **თევდორე არჯევანის-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/XII ენგელსის, 37.

დაკარგულია აბაშის რაიონის ონტოფოს თემის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 07963